

„ონლაინ პლატფორმების ეფექტური გამოყენება
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მართვასა და სწავლა-
სწავლების პროცესში“

მარი გეთიაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე საჯარო პოლიტიკის
ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ბერიკა შუკაკიძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2020

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარი გეთიაშვილი

2020 წელი

აბსტრაქტი

მსოფლიოში განვითარებულმა მოვლენებმა, კერძოდ ვირუსის - „კოვიდ 19“ - ის გავრცელებამ 2020 წელს აუცილებელი გახადა საგანმანათლებლო დაწესებულებები გადასულიყვნენ დისტანციური მართვისა და სწავლების რეჟიმზე. ჩემს სამაგისტრო ნაშრომში ძირითადი აქცენტი გაკეთებულია სწორედ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების დისტანციურ მართვასა და სწავლებაზე. სკოლებში სწავლის უწყვეტობამ პანდემიის დროს დააჩქარა ის პროცესები, რასაც საგანმანათლებლო დაწესებულებები ეტაპობრივად ითვისებდნენ. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება და კანონში შეიტანა ცვლილებები დისტანციურ სწავლებასთან დაკავშირებით. კანონის მიღების საფუძველზე, სკოლებში საჭირო გახდა დანერგილიყო სხვადასხვა ონლაინ პლატფორმები, რათა სასწავლო პროცესი აქტიურად გაგრძელებულიყო. ეს ძირითადი ონლაინ პლატფორმებია : Zoom, Microsoft Teams, Moodle, Microsoft Office 365 და Google Classroom. აღნიშნული საკვლევი საკითხი აქტუალურ თემად მივიჩნიე და ვთვლი, რომ სამაგისტრო ნაშრომი იქნება ახალი ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება.

სავარაუდოა, რომ დისტანციური სწავლებაზე გადართვა სკოლებისთვის არის ახალი გამოწვევა და შესაბამისად საჭიროებს კვლევას, მოსწავლეების ჩართულობის და სწავლების ეფექტურობის კუთხით, შესაბამისად სწორედ ეს საკითხი წარმოადგენს კვლევის ჰიპოთეზას. სამაგისტრო კვლევის საგანია სკოლების მართვა - სწავლება ელექტრონული პლატფორმების საშუალებით. მოცემული კვლევის მიზნის მისაღწევად შეირჩა თვისობრივი კვლევის მეთოდები, კერძოდ ინტერვიუ და დოკუმენტების ანალიზი. კვლევაში განხილულია ადგილობრივი და საერთაშორისო დოკუმენტები. მოცემული კვლევის სამიზნე ჯგუფია : სკოლის დირექტორები, მასწავლებლები, მოსწავლეები და მოსწავლეების მშობლები. სამაგისტრო კვლევის რესპოდენტთა

შერჩევა მოხდა მიზნობრივად. სამაგისტრო ნაშრომში გამოკვეთილია ის პრობლემები, რაც დისტანციურ სწავლებას თან ახლავს. ნაშრომში განათლების მიმართულებით რამდენიმე წამყვანი ქვეყნის მაგალითზე განხილულია საერთაშორისო გამოცდილება, თუ როგორ ხდება დისტანციური მართვა და სწავლება სკოლებში. კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების საფუძველზე გაკეთდა დასკვნები და შემუშავდა რეკომენდაციები.

Abstract

Developments around the world, in particular the spread of the virus "Covid 19" in 2020, made it necessary for educational institutions to switch to distance management and teaching mode. In my master's thesis, the main focus is on the distance management and teaching of general education institutions. Continuity of schooling during the pandemic accelerated the processes that educational institutions were gradually mastering. The Ministry of Education, Science, Culture and Sports of Georgia has made a decision and amended the law on distance teaching. Based on the adoption of the law, it became necessary to introduce various online platforms in schools in order to actively continue the learning process. These major online platforms are: Zoom, Microsoft Teams, Moodle, Microsoft Office 365 and Google Classroom. I considered this research issue as an active topic and I think that the master's thesis will share new knowledge and experience. It is likely that switching to distance teaching is a new challenge for schools and therefore requires research in terms of student engagement and teaching effectiveness, hence this issue is the research hypothesis. The subject of the master's thesis is the management of schools - teaching through electronic platforms. Qualitative research methods, in particular interviews and document analysis, were selected to achieve this research goal. The study discusses local and international documents. The target group of this study is: school principals, teachers, students and parents of students. The selection of the respondents of the master's research was purposeful. The master's thesis highlights the problems that accompany distance learning. The paper discusses the international experience of distance learning and teaching in schools on the example of several leading countries in the field of education. Based on the data obtained from the study, conclusions were made and recommendations were developed.